**თბილისის მერია**
ქ. მარტავას ქ.№7
TBILISI.GOV.GE

სარეგისტრაციო ნომერი: 11/125068-7

თარიღი: 23.09.11

ქალაქ თბილისის მერიის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს
ბ-ნ ოტატალაშვილს

ბატონო ოთარ,

თქვენი 2011 წლის 16 სექტემბრის №11/118704-7 წერილის პასუხად დამატებით მოგმართავთ, რადგანაც მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე თბილისის ბიუჯეტი მოცემულია ზოგადი მონაცემებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ ქალაქ თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2009 დამტკიცებული ბიუჯეტის ასლები დეტალურ ჭრილში, კერძოდ:

1. თბილისის ტერიტორიაზე არსებული თითოეული პარკის, ბაღის, სკვერის, გაზონის, დეკორატიული კუთხის, კლუბის მოვლა-პატრონობაზე (ვაკე-საბურთალოს რაიონში, მთაწმინდა კრწანისის რაიონიში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ისანი-სამგორის რაიონში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თბილისის შემოგარენში და ტყე-პარკი "შავნაბადა") გამოყოფილი თანხები,
2. მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯები,
3. ახალი პარკების, ბაღების, სკვერების და გაზონების დაპროექტებაზე გამოყოფილი თანხები;
4. არსებული პარკების, ბაღების, სკვერების და გაზონების აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტირებაზე გამოყოფილი თანხები;
5. სარწყავი სისტემის დაპროექტებაზე და მოწყობაზე, მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებისთვის, მშენებლობაზე გამოყოფილი თანხები,
6. ფიტო-სანიტარული მონიტორინგიზე გამოყოფილი თანხები,
7. ნერგების შეძენაზე გამოყოფილი თანხები,
8. ყვავილნარების მოწყობაზე გამოყოფილი თანხები,
9. ხეების მოჭრაზე, მათ გასხვლა-გადაბელვაზე გამოყოფილი თანხები,
10. მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები,
11. ყამირი და განოყიერებული ნიადაგის შესყიდვა-მოწყობაზე გამოყოფილი თანხები;
12. სხვა გაუთვალისწინებელი ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები:

პატივისცემით,
ააიპ "უსაფრთხო სივრცის"
თავმჯდომარე: /აგაბრიაძე/